2021-2022 | საქართველოს ჩემპიონატი

დუბლები

1. მონაწილეთა რაოდენობა: 8

1	აია ქუთაისი
2	ბათუმი ბათუმი
3	აკადემია თბილისი
4	ყოჩები ბოლნისი
5	იუნკერები კიკეთი
6	ლოკომოტივი თბილისი
7	ლელო სარასენს თბილისი
8	არესი ქუთაისი

1.0 შეჯიბრში ნებაყოფლობით მონაწილეობენ დიდი 10-ის კლუბთა დუბლ-შემადგენლობები

1.1 სათამაშო დღეები: ორშაბათი, სამშაბათი

1.2 დუბლების მოთამაშეს შეუზღუდავად შეუძლია დიდი 10-ის თავისივე გუნდთან როტაცია – თამაში ხან იქ და ხანაც აქ

1.2.1 სადისციპლინო კომიტეტის მიერ მოთამაშის მიმართ დუბლების მატჩში გამოტანილი სასჯელი ძალაშია დიდ 10-შიც

1.3 სამონაწილეო გადასახადია გუნდზე 3,800 (სამი ათას რვაასი) ლარი

1.3.1 მონაწილეთა გამოკლების შემთხვევაში თანხა შემცირდება

1.4 დუბლებში დაშვებულია "როტაციული შეცვლები" (შედი-გამოდი), მაქსიმუმ – 12 [წესი 3.34 | გვ.19]

1.4.0 გუნდს შეუძლია განაცხადში იყოლიოს მაქსიმუმ 23 კაცი

1.4.1 როტაციის სათვალავში არ შედის:

იძულებითი შეცვლა

1.4.1.1 "სპეციალისტი პირველ'ხაზელის" შესაყვანად სხვა მოთამაშის გაწირვის დროს [წესი 3.19-20 | გვ. 16-17]
1.4.1.2 ტვინის შერყევის გამო [წესი 3.24 | გვ. 17]
1.4.1.3 სისხლდენის გამო [წესი 3.25 | გვ. 17]

"დროებით შეცვლილი" მოთამაშის დაბრუნება

1.4.1.4 პირველ'ხაზელის სინბინის ამოწურვის შემდეგ [წესი 3.19 | გვ. 16]
1.4.1.5 სისხლდენის შეჩერების შემდეგ [წესი 3.25 | გვ. 17]

შეცვლილი მოთამაშის შეყვანა

1.4.1.6 დაშავებული პირველ'ხაზელის ნაცვლად [წესი 3.33.ა | გვ. 19]
1.4.1.7 წინა ეპიზოდში "ბინძურად თამაშის" გამო დაშავებულის ნაცვლად [წესი 3.33.დ | გვ. 19]

2. გათამაშების სისტემა

2.1 შეჯიბრება ტარდება ერთ ეტაპად: მიმოსვლით – ორ წრედ: შინ და გარეთ (14 ტურად)

2.2 ადგილები განაწილდება დაგროვილი ქულებით

2.2.1 თუ ორ ან მეტ გუნდს დაუგროვდა ტოლი ქულა, დაწინაურდება ის გუნდი,

ა) რომელმაც დააგროვა მეტი (საცხრილო) ქულა ორ ურთიერთ-შეხვედრაში

ბ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა ექნება ორ ურთიერთ-შეხვედრაში

გ) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა ექნება ორ ურთიერთ-შეხვედრაში

დ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა ექნება ეტაპის ორ წრეში

ე) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა ექნება ეტაპის ორ წრეში

ვ) რომელიც ნაკლებ დისციპლინარულ სასჯელს (ჯერ წითელ, მერე ყვითელ ბარათს) მიიღებს ეტაპის ორ წრეში

3. სავარაუდო ვადები

2021 წლის სექტემბერი – 2022 წლის აპრილი

16/09_2021